თბილისელები აუტსაიდერთა შორის

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

“დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (0:0).

კიევი: რუდაკოვი, ზუევი, მატვიენკო, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი (შეპელი), ბურიაკი (მუნტიანი), ონიშჩენკო, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

თბილისი: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხინჩაგაშვილი, ხურცილავა, მუჯირი, ჭელიძე, მ. მაჩაიძე, ებრალიძე, გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი), ყიფიანი.

მსაჯი: მ. რუბენისი (კიევი).

დუბლიორები – 1:0.

ამ მატჩის თაობაზე რედაქცია დაუკავშირდა თავის კიეველ კორესპონდენტს ო. ბუჩმას, რომელმაც შემდეგი გადმოგვცა:

კიევში საგანგებოდ ემზადებოდნენ ტრადიციულ მეტოქესთან მატჩისათვის. ის ფაქტი, რომ თბილისის “დინამო” სამი ტურის შემდეგ აუტსაიდერთა შორის იყო, ერთობ მოკრძალებული საერთო ბალანსით, ბევრს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან სწორედ ასეთ გადამწყვეტ მატჩებში ხდება ძალების მაქსიმალური მობილიზება, ხოლო როცა თბილისის “დინამო” მობილიზებულია, ყველამ კარგად იცის მისი სიძლიერე. გარდა ამისა, ახლა ცხრილის სათავეში კიეველთა სიახლოვეს ისეთი სიმჭიდროვეა, რომ თითოეული ქულა დიდად ფასობს.

პირდაპირ ვიტყვით: ასეთ სიტუაციაში ჩვენთვის მოულოდნელი იყო, სტუმრები მინდორზე 5 მცველის შემადგენლობით რომ გამოვიდნენ. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ებრალიძის ძირითადი ამპლუა მცველად თამაშია, თუმცა ამ შეხვედრაში მას, შეიძლება სხვა ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული. დარჩა გუნდი ერთადერთი ტიპიური ჰავბეკის – მაჩაიძის ამარა, რომელსაც მუდმივმოქმედი პარტნიორი შუა ხაზში ხშირად აკლდა, კიეველები კი, როგორც ცნობილია, მთელ თამაშს ცენტრალურ ზონაში წარმართავენ.

ძალთა ასეთმა შეფარდებამ შუა მინდორში მასპინძლებს საშუალება მისცა თავიდანვე ეგდოთ ხელთ ინიციატივა, ბლოხინს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა უკვე მე–9 წუთზე შეექმნა, თუმცა ეს შანსი ვერ გამოიყენა.

შემდგომში მდგომარეობა გათანაბრდა, სტუმრებმა აქტიურად გაითამაშეს რამდენიმე კომბინაცია, შეტევაში ხურცილავაც მონაწილეობდა, გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა მიეცა გუცაევს.

მთელი ტაიმი ორმხრივ პოზიციურ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მაგრამ მერე, როცა კიევის ”დინამოს” შემადგენლობაში ბურიაკის ადგილი მუნტიანმა დაიკავა, მდგომარეობა შეიცვალა. გამოცდილი დისპეჩერი პირველივე წუთებიდან ჩაება ბრძოლაში და მისი “ხელი” მაშინვე დაეტყო პარტნიორებს. გუნდი ათამაშდა სრული სიძლიერით, გაგოშიძეს ზედიზედ მოუხდა ძნელი ბურთების აღება, 55–ე წუთზე თბილისელთა კარი ძელმა იხსნა აშკარა გოლისგან, 59–ე წუთზე კი ბურთი მაინც გავიდა: კოლოტოვმა საჯარიმო მოედანზე გაითამაშა კომბინაცია პარტნიორებთან, გავიდა ღია პოზიციაში და გაგოშიძესთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა.

სტუმრებმა მაშინვე სცადეს მდგომარეობის გამოსწორება. საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ ყიფიანს, გუცაევს, ნოდიას. 71–ე წუთზე კი რუდაკოვმა ძალიან ძნელი, თითქმის უიმედო ბურთი აიღო ყიფიანისგან.

ამ დაძაბულ სიტუაციაში მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა იმავე კოლოტოვმა. მან ზუსტად ისევე ითამაშა, როგორც 59–ე წუთზე, იგივე ადგილას გავიდა კარის წინ და მეორედ გაგზავნა ბურთი ბადეში.

დანარჩენ დროში თბილისელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამაოდ. კიეველებმა ბოლომდე ორგანიზებულად იბრძოლეს და გამარჯვება შეინარჩუნეს.

ჩვენი კიეველი კორესპონდენტის ნაამბობს დავუმატებთ იმას, რომ თბილისის "დინამო" 4 ტურის შემდეგ ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაშია, ბოლო ადგილებზეა და განვლილ ოთხ მატჩში სულ ერთი ბურთი აქვს გატანილი. გუნდს ელის მეტისმეტად ძნელი, საპასუხისმგებლო შეხვედრები: 9 მაისს შინ – გათამაშების ერთ–ერთ ლიდერთან "ზენიტთნ", 14 მაისს მოსკოვში – ადგილობრივ თანაკლუბელებთან. 23 მაისს იგი მასპინძლობს სსრ კავშირის ჩემპიონს "არარატს". ამ მატჩებში დინამოელებმა ყველაფერი უნდა იღონონ მძიმე მდგომარეობის დროით გამოსასწორებლად.

"ლელო", 5 მაისი, 1974 წ.